დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი 20 წლისაა

20TH ANNIVERSARY OF THE FOUNDING OF THE CENTER OF STUDY AND PREDICTION OF CRIME

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "კრიმინოლოგია" №1(16). დამატება №1
INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL "CRIMINOLOGY" №1(16). ADDITION №1

ISSN 1512-3804

საქართველო. თბილისი
GEORGIA. TBILISI
2022

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის
დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი
Georgian Academy of Criminology Sciences
Law and Criminology Scientific Research Institute at
Grigol Robakidze University

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი 20 წლისაა
20th Annyversary of the founding of the Center of Study and Prediction of Crime

საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული
ჟურნალის „კრიმინოლოგი“ №1(16) დამატება №1
International Scientific-Practical Journal
„Criminology“ №1(16) Addition №1

თბილისი - Tbilisi
2022

ჟურნალის „კრიმინოლოგი“ დამატება N1 ეძღვნება ჟურნალის თანადამფუძნებლის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დაარსებიდან 20 წლის იუბილეს. ჟურნალის დამატება დეტალურად, დოკუმენტური და ფოტო მასალით აღწერს ცენტრის მიერ განხორციელებულ ადგილობრივ და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობას, ამ მიმართულებით საქართველოს და საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო, საზოგადოებრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან და სხვა საგანამანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

სარედაქციო კოლეგია -
ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“
გამგეობის - სამეცნიერო საბჭოს წევრები:
პროფესორი მალხაზ ბაძაღუა
პროფესორი მამუკა თავხელიძე
პროფესორი მიხეილ ბაძაღუა

……..

The Addition of journal „Criminology“ №1 is dedicated to the 20th anniversary of the foundation of the Center of Study and Predication of Crime. Addition of the journal describes in detail, through documentary and photo material, the scientific-practical activities of local and international importance carried out by the Center, cooperation with state, public and international organizations of Georgia and abroad, especially Grigol Robakidze University and other educational and scientific-research institutions.

The Editorial Board:
Professor **Malkhaz Badzagua**
Professor **Mamuka Tavkhelidze**
Professor **Mikheil Badzagua**

1999 წელს ანტიკორუფციულ საზოგადოებრივ მოძრაობაში გაერთიანებულმა მეცნიერმა და პრაქტიკოსმა იურისტებმა: **გიორგი თოდრიამ, ოთარ კვაჭაძემ, გიორგი ღლონტმა, მანანა ხვედელიძემ, სერგო უზარაშვილმა, მიხეილ ზაძაღუამ, ჯემალ გაზელიამ, ნანა ლომაიამ, ლიანა ზიზილაშვილმა და მაია მოსიძემ, მალხაზ ზაძაღუას** ხელმძღვანელობით 2001 წლის 28 ივნისს, არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის სახით დააფუძნეს „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი“. დაარსების დღიდან სხვადასხვა დროს ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტები: **რომან შენგელია, გივი ინწკირველი, ზაურ წულაია, ზურაბ ჭილაძე, ზურაბ ფორაქიშვილი, გია ხუბუა, ალექსანდრე ჭილაძე, თამაზ ყიფიანი, თემურ მურღულია, აკაკი სიხარულიძე.**

ცენტრის მიზნები და ამოცანები:

- საქართველოში სამართლებრივი რეფორმების პირობებში დანაშაულობის მიზეზების, თავიდან აცილებისა და პროგნოზირების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
- მოსახლეობის მართლშეგნების დონის ამაღლება;

- დანაშაულობის თავიდან აცილების მიზნით სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება;
- სამეცნიერო, პედაგოგიური, საგამომცემლო საქმიანობა;
- იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს.

ცენტრის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს:

- გამგეობა-სამეცნიერო საბჭო, რომელიც შედგება დირექტორის, კოორდინატორებისა და სწავლული მდივნისაგან. ასევე სტრუქტურაში გათვალისწინებულია საზოგადოებრივ საწყისებსა და ხელშეკრულებაზე მეცნიერ-კონსულტანტების, ექსპერტებისა და ასისტენტების ინსტიტუტი.

ცენტრის საქმიანობის ფორმეგია:

- სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძო პირებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, კონსულტაციის გაწევა; კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზება; მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- სამეცნიერო კონფერენციებისა და პრაქტიკული სემინარების, სოციოლოგიური გამოკვლევების და სპეციალური ტრენინგების ჩატარება, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტ-სპეციალისტების მონაწილეობით;
- მონოგრაფიული გამოკვლევებისა და სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა.

ცენტრის ყოველთვიური ბეჭდვითი ორგანო „პროფესიონალი სამართალმცოდნე“

დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთში „გაუხმაურებელი ფაქტები“ (მთავარი რედაქტორი, ცენტრის თანადამფუძნებელი ნანა ლომაია) დაარსდა ცენტრის ყოველთვიური ორგვერდიანი დამატება „პროფესიონალი სამართალმცოდნე“, რომელიც 2001-2002 წლებში გამოიცემოდა.

პროფესიონალი

პოლიციის რეფორმებზე

სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთად მსჯელობენ

მსოფლიო დამნაშავეობის გლობალიზაციის წინააღმდეგ

8

სამართალმცოდნე

საინტერესოა, როცა თავისუფალი მედია პოლიციის ტერორს ეწევა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

9

კონფერენცია „სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის სამართლებრივი ასპექტები“

2002 წლის 22 მარტს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა“ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში პირველად ჩაატარა ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „სამართალდამცავი ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის სამართლებრივი ასპექტები“.

კონფერენცია გახსნა და მოხსენება წარმოადგინა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის წინადადებების შემმუშავებელი დროებითი უწყებათშორისი კომისიის წევრმა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტმა **კოზა ნარჩემაშვილმა** - „სამართლებრივი რეფორმის რეალური კონტურები“.

მოხსენებით გამოვიდნენ: ცენტრის თანადამფუძნებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პოლკოვნიკი **მანანა ხვედელიძე** - “საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების კონსტიტუციური ასპექტები (XX საუკუნე)”;

ცენტრის წევრი, საქართველოს შსს აკადემიის კათედრის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი, პროფესორი **როლანდ ნიჟარაძე** - “ტოტალიტარული სახელმწიფოს პოლიციური სტრუქტურების მოკლე ისტორიული დახასიათება”;

ცენტრის თანადამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დოცენტი **გიორგი ღლონტი** - „ა.შ.შ.-ს სამართალდამცავი სისტემები“;

საქართველოს შს მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი **შოთა ასათიანი** - „შავი ზღვის წევრი ქვეყნების ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში თანამშრომლობის შესახებ“;

ცენტრის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მაძიებელი, საქართველოს შსს შტაბის ინსპექტორი **დავით გუგავა** - „საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის პერსპექტივები“;

ცენტრის თანადამფუძნებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტი, დოცენტი **გიორგი თოდრია** - „პოლიციის მართვის ევოლუციის თავისებურებანი: საზღვარგარეთის გამოცდილების სტრატეგია და ტაქტიკა“;

ცენტრის თანადამფუძნებელი, საქართველოს შსს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი **ჯემალ გაზელია** - „ინსტიტუციურ რეფორმებთან დაკავშირებული ზოგიერთი პროცესუალური საკითხი“;

ცენტრის წევრი, საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი **გელა სულაძე** - „შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებს შორის ფუნქციათა გამიჯვნის აუცილებლობის ზოგიერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტი“;

საქართველოში აშშ-ს საეჩოს მრჩეველი იურიდიულ საკითხებში **ჯონ გლისონი** - „დემოკრატიული ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობა”;

ცენტრის თანადამფუძნებელი და სწავლული მდივანი, საქართველოს შსს პრესსამსახურის უფროსის მოადგილე, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **მაია მოსიძე** - „ეთიკის საკითხები შინაგან საქმეთა ორგანოებში“;

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის წინადადებების შემმუშავებელი დროებითი უწყებათშორისი კომისიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ოთარ გამყრელიძე** - „მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა ერთად უნდა იღვაწონ“;

ცენტრის თანადამფუძნებელი, თადარიგის პოლკოვნიკი **ოთარ კვაჭაძე** - „რედაქტორის მოსაზრება ბატონ ჯემალ გაბელიას წიგნზე „პოლიციური ისტორიები – გალელ პოლიციელთა გმირული ოდისეა“;

ცენტრის თანადამფუძნებელი, გაზეთის „გაუხმაურებელი ფაქტები“ მთავარი რედაქტორი **ნანა ლომია** - „ჭეშმარიტი ფასეულობების გამოხმობა შეაჩერებს საფრთხეს“;

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **ვახტანგ ყოლბაია** - „რეფორმები ისტორიული მემკვიდრეობის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს“;

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე **აკაკი სიხარულიძე** - „რეფორმებს საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა სჭირდება“;

ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს შსს სისტემის ინსტიტუციური რეფორმის წინადადებების შემმუშავებელი დრობითი კომისიის მდივანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიციის პოლკოვნიკი **მალხაზ ბაძაღუა** - „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის კონცეპტუალური წინადადებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოდელთან დაკავშირებით“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული უშიშროებისა და სამართალდამცავი სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმის წინადადებების შემმუშავებელი დროებითი უწყებათშორისი კომისიის წევრებმა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა გივი ინწკირველმა; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა რომან შენგელიამ; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გია ხუბუამ; საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარემ, დოცენტმა პაატა ცნობილაძემ; საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანმა **ზურაბ აბაშიძემ**; ასევე საქართველოს შს მინისტრის პირველმა მოადგილემ, პოლიციის გენერალ-მაიორმა **ზურაბ ჩხაიძემ**; საქართველოს შს მინისტრის მოადგილეებმა: პოლიციის გენერალ-მაიორმა **ზურაბ ხაჟალიამ**, პოლიციის გენერალ-მაიორმა **დავით თოდუამ**, საქართველოს შსს აკადემიის რექტორმა, პოლიციის გენერალ-მაიორმა **გურამ ქარქაშაძემ** და სხვა მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით მოამზადა და გამოსცა სარედაქციო კოლეგიამ: **შოთა ასათიანის, მალხაზ ბაძაღუას, დავით გუგავას, ნანა ლომაიას და მაია მოსიძის შემადგენლობით.**

მნიშვნელოვანი კრებული „ანტიკორუფციული მოძრაობა გუშინ, დღეს, ხვალ ...“

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის საქმიანობის ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები წარმოადგენდა, აღნიშნულზე საინტერესო დისკუსია გამართა პრესაში პროფესორმა **ალექსანდრე მუჯირმა**, რომელმაც 2002 წელს გამოცემულ ნაშრომში „კორუფცია და სახელმწიფო ხელისუფლება“ დადებითად შეაფასა დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის საქმიანობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის კუთხით.



2003 წლის ივნისში, ცენტრმა გამოსცა კრებული „ანტიკორუფციული მოძრაობა გუშინ, დღეს, ხვალ“, მოსაზრებები და გადაწყვეტილებები, წიგნის შექმნის იდეის ავტორი და შემდგენელია პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**, რედაქტორი პროფესორი **რომან შენგელია**. კრებულმა გააერთიანა კორუფციის პრობლემით დაინტერესებული პოლიტიკოსები, თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები, რომლებიც არიან წიგნის თანაავტორები: **ედუარდ შევარდნაძე, გიორგი ბარამიძე, გიორგი თოდრია, მალხაზ ბაძაღუა, თეიმურაზ ბერიძე, მირიან გოგიაშვილი, ნანა დევდარიანი, ავთანდილ კახნიაშვილი, ოთარ კვაჭაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, ნუნუ ოვსიანიკოვა, ვლადიმერ პაპავა, მიხეილ სააკაშვილი, დავით უსუფაშვილი, ვლადიმერ უგულავა, გიორგი ღლონტი** და **ლადო ჭანტურია**. წიგნის განხილვა გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში, სადაც მონაწილეობდნენ: წიგნის რედაქტორი და თანაავტორები, ასევე

საზოგადოებისთვის ცნობილი მეცნიერები და პრაქტიკოსები: **ზურაბ ფორაქიშვილი, გურამ ქარქაშაძე, თამაზ ყიფიანი, ელგუჯა ბადრიძე, სერგო რიგვავა, შოთა ასათიანი, ნანა ლომაია, გელა ხუციშვილი, მარინე კვაჭაძე, დავით კარიაული, გია ხუბუა, დევი ჩხეიძე, მანანა ხვედელიძე, ალექსანდრე ჭილაძე** და სხვები.

გენერალ გივი კვანტალიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სხდომა

2003 წლის იანვარში, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში დამსახურებული პატივი მიაგო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილის, მილიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი უფროსის, გენერალ-მაიორ გივი კვანტალიანის ხსოვნას. ცენტრის წარდგინებით 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბატონი გივი კვანტალიანი ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

ცენტრის თანადამფუძნეზლის ოთარ კვაჭაძის იუზილე მწერალთა კავშირში

2004 წლის დეკემბერში, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, პოეტ **მაყვალა გონაშვილის** თანადგომით აღნიშნა ცენტრის თანადამფუძნებლის, მწერალ, თადარიგის პოლკოვნიკ **ოთარ კვაჭაძის** დაბადებიდან 75 წლის იუბილე. ცენტრის წარდგინებით იუბილარი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მრგვალი მაგიდა „არასრულწლოვანთა დანაშაული“

2005 წლის ოქტომბერში, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა, საქართველოს განათლების სამინისტრომ, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ინიციატივით და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით ჩაატარა მრგვალი მაგიდა – „არასრულწლოვანთა დანაშაული“, რომელსაც უძღვებოდნენ: ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სახელმწიფო და საზოგადოების უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა** და საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე, პროფესორი **ბელა წიფურია**. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის წევრებმა. განხილულ იქნა იმუამად მეტად აქტუალური პრობლემა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკთან დაკავშირებული საკითხი, მრგვალი მაგიდის რეკომენდაციები გაითვალისწინა საქართველოს პარლამენტმა.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ცენტრის თანამშრომლობა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ცენტრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის, პროფესორ **მალხაზ ბაძაღუას** ინიციატივით უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **მამუკა თავხელიძის** მხარდაჭერით 2007 წელს უნივერსიტეტში დაფუძნდა კრიმინოლოგიური კვლევების ლაბორატორია, რომელიც შემდგომ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. 2007 წლიდან ცენტრი უნივერსიტეტთან ერთად გამოსცემს სამხრეთ კავკასიაში ამ პროფილის ერთადერთ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს "კრიმინოლოგი". კრიმინოლოგიის პრობლემატიკაზე ცენტრის ინიციატივით უნივერსიტეტში ჩატარებულია მრავალი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია და მრგვალი მაგიდა, კრიმინოლოგიის და სამართლის აქტუალურ საკითხებზე, სადაც მონაწილეობდა ასობით მეცნიერ-მკვლევარი და სტუდენტი.

სახელმძღვანელო - „იურიდიული პედაგოგიკა"



2004-2006 წლებში ცენტრმა იურიდიული განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში ჩაატარა სოციოლოგიური კვლევა „პედაგოგიური განათლება პრაქტიკოს იურისტთა საქმიანობაში". კვლევის შედეგების გათვალისწინებით **პროფესორ მალხაზ ბაძაღუას** მიერ მომზადდა სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელო „იურიდიული პედაგოგიკა" აკადემიკოს ნათელა ვასაძის რედაქტორობით. წიგნის რეცენზენტები არიან, პროფესორები: **რომან შენგელია, მამუკა თავხელიძე, გია ხუბუა, მარინა კვაჭაძე** და

კონსტანტინე რამიშვილი. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ექსპერიმენტის სახით განხორციელდა ამ საგნის სწავლება იურიდიულ ფაკულტეტზე.

2006 წლის მარტში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გამართულ პრეზენტაციაზე მოსაზრებები გამოთქვეს წიგნის რედაქტორმა და რეცენზენტებმა, ასევე პროფესორებმა: **ლევან ჩიქვანაიამ, თეიმურაზ ზერიძემ,** სამართლის დოქტორმა, პოლიციის გენერალ-მაიორმა **თემურ მურღულიამ**, სამართლის დოქტორმა **რამაზ ზერიძემ,** ცენტრის გამგეობის წევრმა **ოთარ კვაჭაძემ** და სხვებმა.

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დაარსებიდან 5 წლის იუბილე: სამეცნიერო კონფერენცია „დანაშაულობის კვლევის, მიზეზებისა და თავიდან აცილების პრობლემები“ და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ დაფუძნება

2006 წლის 1 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „დანაშაულობის კვლევის, მიზეზების და თავიდან აცილების პრობლემები“.

კონფერენციაზე დაფუძნდა სამხრეთ კავკასიაში ამ პროფილის ერთადერთი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „კრიმინოლოგი“ და დამტკიცდა სარედაქციო კოლეგია შემადგენლობით: **მალხაზ ბაძაღუა** - მთავარი რედაქტორი, **მამუკა თავხელიძე, ოთარ კვაჭაძე, მიხეილ ბაძაღუა** და **ცირა ჭანტურია**, რომლის პირველი

ნომერი გამოიცა 2007 წლის იანვარში და მიეძღვნა ცენტრის დაარსებიდან 5 წლის იუბილეს.

კონფერენციის დასასრულს ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ** მადლობის ბარათები გადასცა ცენტრის თანადამფუძნებლებსა და აქტიურ მხარდამჭერებს.

საქართველოში აშშ-ს საელჩოს პროექტი „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“

2007 წლის 15 სექტემბრიდან, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელდა საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერილი პროექტი „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“.

2007 წლის 28 ნოემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა ჩაატარა პროექტის „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ და ჟურნალის „კრიმინოლოგი“ პირველი ნომრის პრეზენტაცია. „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ პროექტის სოციოლოგიური კვლევის შედეგები გააცნო პროექტის ასისტენტმა **ცირა ჭანტურიამ**.

მრგვალი მაგიდა „არასრულწლოვანი და დანაშაულობა“

2007 წლის 20 დეკემბერს, “ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ” პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა „არასრულწლოვანი და დანაშაულობა“, რომელსაც უძღვებოდნენ პროექტის ავტორი და ცენტრის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა** და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**, მოხსენებით გამოვიდნენ პროფესორები: **ოთარ გამყრელიძე, გიორგი თოდრია, მარინა კვაჭაძე, თეა გოგოტიშვილი, ჯემალ ჯანაშია, გიორგი ღლონტი,** ასევე გენერალური პრო-

კურატურის - **ნიკოლოზ დგებუაძე**, განათლების სამინისტროს - **თამარ ლაფერაშვილი**, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - **ლოლიტა შენგელია**, ქალაქ თბილისის მერიის - **ზელა სარია**, აშშ-ს საელჩოს - **მაგდა მაღრაძე** წარმომადგენლები, სტუდენტები და მოსწავლეები. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს დასკვნითი რეკომენდაციები.

მრგვალი მაგიდა „ახალგაზრდობა და ნარკომანია“

2008 წლის 29 თებერვალს, „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა „ახალგაზრდობა და ნარკომანია“, რომელსაც უძღვებოდნენ პროექტის ავტორი და ცენტრის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ზაძაღუა** და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**. მოხსენებებით გამოვიდნენ და დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს

პროფესორებმა: **ჯემალ ჯანაშიამ, ირმა მანჯავიძემ, მარინა კვაჭაძემ, მარინე შაქარაშვილმა** და სტუდენტებმა. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს დასკვნითი რეკომენდაციები.

მრგვალი მაგიდა „ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა“

2008 წლის 4 აპრილს, „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“ პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა „ტრეფიკინგი და ახალგაზრდობა”, რომელსაც უძღვებოდა პროექტის ავტორი და ცენტრის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**. მოხსენებებით გამოვიდა, პროფესორი **გიორგი ღლონტი**, დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ გამართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მდივანმა **ქეთევან ხუციშვილმა** და ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დაზარალებულთა დაცვის სახელმწიფო ფონდის დირექტორმა **მარინა მესხმა**, დოქ-

ტორანტებმა: **მიხეილ ზაძაღუამ, ია დადუნაშვილმა, სოფიო ასანიძემ**, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს დასკვნითი რეკომენდაციები.

ამერიკელი პროფესორ კრის ესკრიჯის მნიშვნელოვანი ვიზიტი

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის „ახალგაზრდობა დანაშაულის წინააღმდეგ“ ფარგლებში, პროექტის ხელმძღვანელმა, აშშ-ს კრიმინოლოგიური საზოგადოების წევრმა, პროფესორმა **მალხაზ ზაძაღუამ** საქმიანი ურთიერთობა დაამყარა აშშ-ს კრიმინოლოგიურ საზოგადოებასთან, რომლის აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი **კრის ესკრიჯი** 2008 წლის 11-14 ივნისს ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ თბილისში, შეხვდა პროექტის მონაწილეებს და გრიგოლ რობაქიძის სახელობის

უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს, წაიკითხა საჯარო ლექცია „კრიმინოლოგია და თანამედროვე სამყაროს გამოწვევები 21-ე საუკუნეში“. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მამუკა თავხელიძემ** უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის დამადასტურებელი სიგელი გადასცა დოქტორ **კრის ესკრიჯს**, დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გეგმები.

„ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ” პროექტის დახურვის პრეზენტაცია საქართველოში აშშ-ს საელჩოში

2008 წლის 12 ივნისს, საქართველოში აშშ-ს საელჩოში შედგა პროექტის „ახალგაზრდობა დანაშაულობის წინააღმდეგ“, დახურვის პრეზენტაცია, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ: სა-

ქართველოში აშშ-ს საელჩოს წარ-მომადგენელი - **მაგდა მაღრაძე**; პროექტის ავტორი და ცენტრის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექ-ტორი, პროფესორი – **მამუკა თავ-ხელიძე**; აშშ-ს კრიმინოლოგიურ საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი **კრის ესკრიჯი**, საქართველოში აშშ-ს საელჩოს პრესისა და საზოგა-დოებასთან ურთიერთობის ატაშე **სტეფანე გაისი**, სტუდენტები და მოსწავლეები.

ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პროექტი „აფხაზეთის სამართლებრივი დახმარება“



2007 წლის 15 ივნისიდან, ზემო აფხაზეთში ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა განახორციელა პროექტი „აფხაზეთის სამართლებრივი დახმარება“, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მთავარი მრჩეველი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**. პროექტის ფარგლებში მოხდა საქართველოს კონსტიტუციის თარგმნა და გამოცემა აფხაზურ ენაზე, კოდორის ხეობაში, ქვეყანაში პირველად გახსნილ „იუსტიციის სახლს“, საჯარო მოსამსახურეებს და მოსახლეობას გაეწია სამართლებრივი დახმარება.

საჯარო მოხელეთა ტრენინგი აფხაზეთში

„აფხაზეთის სამართლებრივი დახმარების“ პროექტის ფარგლებში 2007 წლის 19 ივლისიდან 24 ივლისამდე ჩატარდა ზემო აფხაზეთში აჟარის მუნიციპალური საკრებულოს, გამგეობის და აფხაზეთის ა.რ. მთავრობის აპარატის საჯარო მოხელეთა ტრენინგი და ტესტირება, რომელიც გაიარა 34 საჯარო მოხელემ. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცა სერტიფიკატები.

ლექცია-საუბრები მოსახლეობასთან და საჯარო მოხელეებთან

„აფხაზეთის სამართლებრივი დახმარების“ პროექტის ფარგლებში 2007 წლის 24 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე ზემო აფხაზეთის მსხვილ დასახლებულ პუნქტებში: აჟარა, ჩხალთა, გენწვისი, ომარიშარა სამართლებრივი დახმარების მიზნით გაიმართა ლექცია-საუბრები, რომელსაც უძღვებოდნენ

პროექტის ხელმძღვანელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა** და პროექტის კოორდინატორი **როზინ უბილავა**.

2007 წლის 22 ოქტომბერს, ცენტრმა ქალაქ ზუგდიდში აფხაზეთის ა.რ. მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობაში ჩაატარა საჯარო მოხელეებთან ლექციასაუბარი. მონაწილეებს გადაეცათ იურიდიული ლიტერატურა.

საქართველოს კონსტიტუცია ქართულ-აფხაზურ ენებზე

„აფხაზეთის სამართლებრივი დახმარების“ პროექტის ფარგლებში დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა განახორციელა ქართულიდან აფხაზურ ენაზე საქართველოს კონსტიტუციის თარგმანი და გამოცემა.

აღნიშნული გამოცემა შესრულდა ქვეყნის კონსტიტუციაში, აფხაზურ ენასა და დამწერლობაში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით. გამოცემა განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით.

„აფხაზეთის სამართლებრივი დახმარების“ პროექტის ანგარიში

2007 წლის 12 ნოემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომათა დარბაზში გაიმართა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის „აფხაზეთის სამართლებრივი დახმარება“ ანგარიშის და ამავე პროექტით ქართულ-აფხაზურ ენებზე გამოცემული საქართველოს კონსტიტუციის პრეზენტაცია, რომელიც წარადგინა პროექტისა და ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ**. პროექტს მაღალი შეფასებები მისცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **მალხაზ აქიშბაიამ**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **თემურ მჟავიამ**, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა **დავით დარჩიაშვილმა**, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მამუკა თავხელიძემ** და სხვებმა.

ევროკავშირის პროექტი „ქალი და დანაშაულობა“

2009 წლის 28 მაისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა, ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების დახმარებით, სასტუმრო „ამბასადორში“ გამართა მრგვალი მაგიდა „ქალი და დანაშაულობა“. მრგვალი მაგიდა განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერილი პროექტის „ადამიანებითა და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიაში” ფარგლებში. მრგვალი მაგიდა გახსნეს და მონაწილეებს მიესალმნენ: პროექტის ავტორი და ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე** და ადამიანის ჰარმონიული

განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების თავმჯდომარე **წოვინარ ნაზაროვა**. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს, პროფესორებმა: **ნინო ოკრიბელაშვილმა, მარინა შაქარაშვილმა, ირმა მანჯავიძემ, მარინა კვაჭაძემ, ზაზა რუხაძემ,** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა **მარკ ჰულსტმა**, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს დასკვნითი რეკომენდაციები.

ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მეოთხე ნომრის პრეზენტაცია



2009 წლის 11 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მეოთხე ნომრისა და „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ განახლებული ვებგვერდის პრეზენტაცია. ჟურნალი მიეძღვნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტს „ქალი და დანაშაულობა“.

მრგვალი მაგიდა „კრიმინოლოგია საზოგადოების განვითარებაში“



2010 წლის 11 მაისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა უნივერსიტეტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა „კრიმინოლოგია საზოგადოების განვითარებაში“. განიხილეს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის „კრიმინოლოგიის ადგილი და როლი საზოგადოების განვითარებაში“ შედეგები; კონფერენციას უძღვებოდნენ პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა** და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**. მოხსენებები წარმოადგინეს პროფესორებმა: **გიორგი თოდრიამ, ჯემალ ჯანაშიამ, ალექსანდრე კვაშილავამ, ჯემალ გახოკიძემ,**

გიორგი ღლონტმა, პეტრე დაუთაშვილმა, მარინე შაქარაშვილმა, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ კავკასიის რეგიონალურმა დირექტორმა **ცირა ჭანტურიამ**, დოქტორანტებმა: **მიხეილ ბაძაღუამ, სოფიო ასანიძემ, მიხეილ გაბუნიამ**. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები.

სტუდენტთა მრგვალი მაგიდა „კრიმინოლოგის ადგილი სახელმწიფოსა და საზოგადოებაში“

2010 წლის 25 მაისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის და საერთაშორისო იურიდიული ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა სტუდენტთა მრგვალი მაგიდა „კრიმინოლოგის ადგილი სახელმწიფოსა და საზოგადოებაში“. მრგვალ მაგიდას უძღვებოდა ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**. მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები: **ჯემალ ჯანაშია, მანანა მოსულიშვილი**, დოქტორანტები: **მიხეილ ბაძაღუა** და **გიორგი გაბუნია**, სამართალმცოდნე **დავით წულაია**.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მსოფლიო წესრიგი – დანაშაულობა და დანაშაულებრივი ორგანიზაციები“

2010 წლის 21 დეკემბერს, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის ინიციატივით ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მსოფლიო წესრიგი – დანაშაულობა და დანაშაულებრივი ორგანიზაციები“. კონფერენციას უძღვებოდა ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**. ძირითადი მოხსენებით გამოვიდა პროფესორი **ჯემალ ჯანაშია**. მოხსენებები წარმოადგინეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა. კონფერენციის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები.

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დაფუძნებიდან 10 წლისა და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ 5 წლის იუბილე

2011 წლის 20 ოქტომბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა დანაშაულობის კვლევისა და პროგ-ნოზირების ცენტრის დაფუძნებიდან 10 წლისა და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ 5 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონის-ძიებები:

ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მე-5 ნომრის და სამართალ-მცოდნეობის დოქტორ **მიხეილ ბაძაღუას** წიგნის “ადამიანით ვაჭრობა - ტრეფიკინგი საქართველოს მაგალითზე” პრეზენტა-ციები. პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ** დამსწრე საზოგადოებას გააცნო ცენტრისა და ჟურნალის განვლილი გზა, მომავლის ხედვები, მადლობის ბარათები გადასცა ცენტრისა და ჟურნალის



მხარდამჭერ საზოგადოებას, ასევე, გაახმოვანა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრის, ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის, პროფესორ **კრის ესკრიჯის** მისასალმებელი წერილი. იუბილესთან და

წიგნის პრეზენტაციასთან დაკავშირებით სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: **ჯემალ გახოკიძე, რომან შენგელია, მანანა ხვედელიძე, ჯემალ ჯანაშია, მანანა მოსულიშვილი, გულიკო გალდავა, გიორგი ღლონტი, ალექსანდრე კვაშილავა,** ასევე ცენტრის თანადამფუძნებლები ოთარ კვაჭაძე და ლიანა **ბიბილაშვილი**, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი **გურამ გვეტაძე,** დოქტორანტები: **სოფიო ასანიძე** და **ია დადუნაშვილი.**

სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული უსაფრთხოება და ორგანიზებული დანაშაულობა“

2011 წლის 27-29 დეკემბერს, გაიმართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ქალაქ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პრეზენტაცია; ჟურნალში „კრიმინოლოგი“ გამოქვეყნებული საუკეთესო ნაშრომებისათვის ავტორების დაჯილ-

დოვება; სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეროვნული უსაფრთხოება და ორგანიზებული დანაშაულობა“.

კონფერენცია გახსნა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მამუკა თავხელიძემ**; მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორები: **მალხაზ ბაძაღუა, ჯემალ გახოკიძე, გიორგი თოდრია, ჯემალ ჯანაშია, გიორგი ღლონტი**, სტრატეგიული გამოკვლევათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი **ირაკლი მენაღარიშვილი**, ცენტრის წევრები **გელა სულაძე** და **სოფიო ასანიძე**, სტუდენტები.

ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მე-6 ნომრის და პროფესორ რომან შენგელიას 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებულის „სამართლის პრობლემები“ პრეზენტაცია

2012 წლის 11 მაისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ჩაატარა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მე-6 ნომრის და ცენტრის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტის, პროფესორ რომან შენგელიას 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებულის „სამართლის პრობლემები“ პრეზენტაციები. კრებულში „სამართლის პრობლემები“ განსაკუთრებული ადგილი უკავია დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის და

ჟურნალ „კრიმინოლოგის“ ნაყოფიერ საქმიანობას დანა-შაულობის კვლევისა და პრევენციის მიმართულებით. მისა-სალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი მალხაზ ზაძაღუა და უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მამუკა თავხელიძე, ასევე სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: ვალერი ხრუსტალი, გიორგი თოდრია, დავით ძამუკაშვილი, ჯემალ ჯანაშია. იუბილარ პროფესორ რომან შენგელიას გადაეცა სიმბოლური საჩუქრები.



გენერალ-ლეიტენანტ გურამ გვეტაძის წიგნის „გენერლის მოგონებათა ზარდახშა“ განხილვა

2013 წლის 12 აპრილს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის და ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მიერ ორგანიზებულ იქნა მრგვალი მაგიდა - გენერალ-ლეიტენანტ **გურამ გვეტაძის** წიგნის ,,გენერლის მოგონებათა ზარდახშა“ განხილვასთან დაკავშირებით. მრგვალ მაგიდას უძღვებოდა ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: **გივი ლობჟანიძემ, ჯემალ გახოკიძემ, ალექსანდრე კვაშილავამ, ჯემალ ჯანაშიამ, რომან შენგელიამ, მანანა მოსულიშვილმა, ვალერი ხრუსტალმა, რაულ გვეტაძემ,** ასევე შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულმა მუშაკებმა, გენერლებმა: **ზურაბ ჩხაიძემ, დემურ მიქაძემ, თემურ მურღულიამ, ჯუმბერ სურმავამ,** სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა **მამა ილიამ (კავსაძე),** პოლკოვნიკებმა: **რეზო ნაცარაშვილმა, ომარ თუშურაშვილმა, ოთარ კვაჭაძემ, ტიტე ლეპსაიამ, გურამ ახალაიამ, ჯემალ ბადაგაძემ, გივი ნაცვლიშვილმა.**

სტუდენტთა მრგვალი მაგიდა „არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევები“

2013 წლის 13 ივნისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ორგანიზებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა მრგვალი მაგიდა „არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევები“. მრგვალ მაგიდას უძღვებოდნენ ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა** და პროფესორი **გიორგი თოდრია**. მოხსენებით გამოვიდნენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და ილიას უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები.

გენერალ-ლეიტენანტ, პროფესორ ჯემალ გახოკიძის წიგნის „ბეწვის ხიდზე“ პრეზენტაცია

2013 წლის 13 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა: უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ერთობლივად განხორციელებული საქმიანობის 2013 წლის ანგარიშის წარდგენა, ასევე განხილვა სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ „კრიმინოლოგის“ №1 (7-8) და გენერალ-ლეიტენანტ, სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ **ჯემალ გახოკიძის** წიგნის „ბეწვის ხიდზე“.

ღონისძიებებს უძღვებოდა ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი მალხაზ ბაძაღუა. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულმა მუშაკებმა: **გენერლებმა გურამ გვეტაძემ, დემურ მიქაძემ, ჯუმბერ სურმავამ, ავიაციის გენერალმა დემურ ლელაძე**, პოლკოვნიკებმა: **გურამ ახალაიამ, გრიგოლ შონიამ**, პროფესორებმა **იგორ კვესელავამ, ანზორ გაბიანმა, ირაკლი გაბისონიამ, რომან შენგელიამ, ჯემალ ჯანაშიამ, ჯემალ გაბელიამ, გივი ლობჟანიძემ, ალეკო სიჭინავამ, სერგო ტეფნაძემ, ნუგზარ ფოფხაძემ, ვალერიან ხრუსტალმა, გიორგი თოდრიამ, მანანა მოსულიშვილმა, გიორგი ღლონტმა, ზურაბ მელქაძემ, გულიკო გალდავამ**, სამართლის **დოქტორებმა მიხეილ ბაძაღუამ** და **სოფიო ასანიძემ**, **დოქტორანტმა ეკატერინე კენჭაძემ.**

მრგვალი მაგიდა „დანაშაულობის პრევენციის მექანიზმები განათლების სისტემაში“

2014 წლის 29 აპრილს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მონაწილეობით ჩატარდა მრგვალი მაგიდა „დანაშაულობის პრევენციის

მექანიზმები განათლების სისტემაში“. მრგვალ მაგიდას უძღვებოდა საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**. მოხსენებით გამოვიდნენ: საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ნათელა ვასაძე**, პროფესორები: **მალხაზ ბაძაღუა, ანზორ გაბიანი, ჯემალ გახოკიძე, ინეზა იამანიძე, გია მურღულია, თამარ კერძაია, მარინე შაქარაშვილი, დავით მალაზონია,** თადარიგის გენერალ-ლეიტანტი **გურამ გვეტაძე,** საქართველოს განათ-

ლების და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან ზარდალიშვილი,** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, დოქტორანტი **ეკატერინე კენჭაძე,** გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ პროგრამის კოორდინატორი **თეონა კუჭავა** და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ სამხრეთ-კავკასიის ოფისის ხელმძღვანელი **ცირა ჭანტურია.**

სტუდენტთა დისკუსია „საუბრები თამბაქოს შესახებ“

2014 წლის 9 ივლისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრმა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრმა ჩაატარეს პრეზენტაცია-დისკუსია „საუბრები თამბაქოს შესახებ“. დისკუსიას უძღვებოდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები.

პროექტის „სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე“ განხილვა

2014 წლის 17 ივლისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის, ჟურნალ „კრიმინოლოგის“ ორგანიზებით ჩატარდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის **ზურაბ ხონელიძის** პროექტის „სამხრეთ კავკასია – გეოპოლიტიკური სივრცე (რეგიონალური თანამშრომლობის ახალი ფორმატი)“ განხილვა საზოგადოებისათვის ცნობილი მეცნიერების, ექსპერტების, ჟურნალისტების, სტუდენტების მონაწილეობით. პროექტის წარდგენას უძღვებოდა უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მთავარი რედაქტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**. პროექტი წარადგინა ავტორმა

პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ. პროექტის შესახებ მოსაზრებები გამოთქვეს პროფესორებმა: **დემურ გიორხელიძემ, ჯემალ გახოკიძემ, რეზო ბალანჩივაძემ, ჯემალ ჯანაშიამ, იგორ კვესელავამ, ვაჟა ბერიძემ, პაატა კოღუაშვილმა, ნუგზარ რუხაძემ, გიორგი ანჩაბაძემ, იგორ სვანიძემ, გელა ხუციშვილმა, გულიკო გალდავამ,** ასევე **გენერლებმა გურამ გვეტაძემ, გურამ ნიკოლეიშვილმა, თემურ ლორიამ,** საქართველოს **პარლამენტის** წევრმა **ნანა ყეინიშვილმა,** საკონსტიტუციო **კომისიის** წევრმა **ურუზმა ქარქუსოვმა** და სხვებმა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიოზ ჩუბინიძის წიგნის „ქართველი მზვერავები საიდუმლო მისიით“ წარდგენა-განხილვა

2015 წლის 4 დეკემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მარო მაყაშვილის სახელობის მცირე დარბაზში გაიმართა დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ გამოცემული ლეგენდარული პიროვნების, სპეციალური სამსახურების დამსახურებული მუშაკის, თადარიგის პოლკოვნიკ **გაიოზ ჩუბინიძის** წიგნის „ქართველი მზვერავები საიდუმლო მისიით“ წარდგენა-განხილვა. წიგნისა და ავტორის შესახებ ისაუბრა, წიგნის რედაქტორმა, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ.**

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა.** სიტყვებით გამოვიდნენ პრო-

ფესორები: **ჯემალ გახოკიძე, თეიმურაზ ფაჩულია, გელა ხუციშვილი, რომან შენგელია**, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი **გურამ გვეტაძე**, თადარიგის პოლკოვნიკები: **რევაზ ასათიანი, ზურაბ მეტრეველი, გიორგი ხაზარაძე**, ასევე დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის კოორდინატორი **ირაკლი ბაღიშვილი.**

ჟურნალ „კრიმინოლოგის“ მორიგი ნომრის პრეზენტაცია

2015 წლის 25 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის პროექტების წარდგენა-განხილვა: სამეცნიერო - პრაქტიკულ ჟურნალ „კრიმინოლოგის“ №1(9-10), რომელიც მიეძღვნა პროფესორ **ოთარ გამყრელიძეს**; გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ 2015 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში; პროექტის „კრიმინოლოგიის

ძირითადი ტერმინების განმარტებები, ინგლისური და რუსული შესატყვისებით“ პრეზენტაცია;

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტები წარადგინა პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ**. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: **ოთარ გამყრელიძემ, გურამ ნაჭყებიამ, ზურაბ ხონელიძემ, გიორგი ღლონტმა, გიორგი თოდრიამ, თეიმურაზ ფაჩულიამ, დავით გუგავამ, მორის შალიკაშვილმა** და სხვებმა.

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში პროექტ „კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინების განმარტებები“ განხილვა

2016 წლის 17 მარტს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში გაიმართა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერილი პროექტის „კრიმინოლოგიის ძირითადი ტერმინების განმარტებები, ინგლისური და რუსული შესატყვისებით“ განხილვა. განხილვაში მონაწილეობა

მიიღეს პროფესორებმა: ოთარ გამყრელიძემ, მალხაზ ბაძაღუამ, გიორგი ღლონტმა, თინათინ ასათიანმა, ლია ქაროსანიძემ და მიხეილ ბაძაღუამ.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერილი პროექტ „კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები“ წარდგენა

2016 წლის 3 ივნისს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ატრიუმში გაიმართა დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დაარსებიდან 15 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „კრიმინოლოგიის ძირითად ტერმინთა განმარტებები, ინგლისური და რუსული შესატყვისებით“ და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის 15 წლის

ანგარიში წარადგინა პროექტისა და ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **მალხაზ ზაძაღუამ**. განხილვაზე სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები: **თინათინ ასათიანი, გურამ ნაჭყეზია, ჯემალ გახოკიძე, ნინო ქემერტელიძე, რომან შენგელია, ზესარიონ კვირიკაშვილი, გიორგი ღლონტი, ავთანდილ კახნიაშვილი.**

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ალბომის „მასალები ძველი ქართული სამართლისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიისათვის“ წარდგენა

2017 წლის 10 იანვარს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის ალბომის პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც უძღვებოდა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **გიორგი შარვაშიძე**.

გამოცემა მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილეს. პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ.



ალბომი დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს პროექტის იდეის ავტორმა და ხელმძღვანელმა, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორმა, ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო კომისიის წევრმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **მალხაზ ზაძაღუამ** და ალბომის რედაქტორმა, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ზაზა აზაშიძემ**. პრეზენტაციას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი **მიხეილ ჩხენკელი** და აკადემიური წრეების სხვა წარმომადგენლები.

სტუდენტთა კონფერენცია „კრიმინოლოგია – დანაშაულობის შემსწავლელი მეცნიერება“

2017 წლის 24 იანვარს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრისა და უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტთა კონფერენცია „კრიმინოლოგია – დანაშაულობის შემსწავლელი მეცნიერება“. კონფერენციას უძღვებოდა ცენტრისა და უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერილი პროექტი „პროფესიული ეთიკის განვითარება“

2017 წლის 10 ნოემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ამავე უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან და ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრთან“ თანამშრომლობით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პროექტით „პროფესიული ეთიკის განვითარება“ გათვალისწინებული „პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრის“ გახსნა და საინფორმაციო კრებულის პრეზენტაცია. პრეზენტაციას უძღვებოდა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**. პროექტი წარადგინა ავ-

ტორმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ**. სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი **გიორგი აბაშიშვილი,** საქართველოს პარლამენტის წევრები: სამართლის დოქტორი **ეკა ბესელია** და **გიორგი ხატიძე**, **პროფესორები ირაკლი გაბისონია, თეიმურაზ ფაჩულია, ვეფხვია გვარამია, გივი ლობჟანიძე, იგორ კვესელავა, რომან შენგელია, მანანა ხვედელიძე.**

ორდღიანი სწავლება „პროფესიული ეთიკა, საჯარო, სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში“

2017 წლის 20-21 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა მოკლევადიანი (ორდღიანი) სასწავლო კურსი „პროფესიული ეთიკა, საჯარო, სამართალდამცავ და სპეციალურ სამსახურებში“. რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეებმა, ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“

და „პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრის“ წევრებმა. სწავლებას უძღვებოდნენ პროფესორები: **მალხაზ ბაძაღუა, თეიმურაზ ფაჩულია** და **თეა სამჭკუაშვილი**.

ჟურნალ „კრიმინოლოგის“ საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია



2017 წლის 22 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ატრიუმში გაიმართა ჟურნალ „კრიმინოლოგის“ გამოცემიდან 10 წლის საიუბილეო N1 (11–12) წარდგენა, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი კრიმინოლოგების, პროფესორების **ანზორ გაზიანისა** და **ზაურ წულაიას** ხსოვნას, ინსტიტუტისა და ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებს და ცალკეულ ავტორთა, პროფესორების **რომან შენგელიას, გურამ ნაჭყებიას, კრის ესკრიჯის, მალხაზ ბაძაღუას, მიხეილ ბაძაღუას, ჯემალ გაბელიას** და **დოქტორანტ დავით სუჯაშვილის** სამეცნიერო შრომებს. შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებულის მუშაკების, პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკების: **ოთარ კვაჭაძის** და **რევაზ ჭანტურიას** ლიტერატურულ ნარკვევებს.

ჟურნალში რუბრიკით „ახალი წიგნი“ გამოქვეყნებულია პროფესორ **გიორგი ღლონტის** წერილი პროფესორ **ეკა ბესელიას** წიგნზე „ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში“, ხოლო რუბრიკით „გამოსათხოვარი“ გამოქვეყნებულია ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, პოლიციის გენერალ-მაიორის **რომან გვენცაძისა** და საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის,

გენერალ-მაიორის **ანზორ მაისურაძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილები.

პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრისთვის პროფესორ გელა ბანძელაძის სახელის მინიჭება და „პროფესიული ეთიკის საფუძვლები" სახელმძღვანელოს წარდგენა

2018 წლის 24 თებერვალს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტთან, სოხუმის სახლემწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტთან და ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრთან" თანამშრომლობით განხორციელებული პროექტ „პროფესიული ეთიკის განვითარების" ფარგლებში, მოქმედი „პროფესიული ეთიკის განვითარების ცენტრისთვის" პროფესორ გელა ბანძელაძის სახელის მინიჭების ცერემონიალი, ასევე პროფესორ მალხაზ ბაძაღუას წიგნის „პროფესიული ეთიკის საფუძვლები" წარდგენა და პროექტის შეჯამება. სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები:



რევაზ ბალანჩივაძე, გივი ლობჟანიძე, ჯემალ გახოკიძე, რომან შენგელია, ზურაბ ხონელიძე, პაატა ნაცვლიშვილი, ივანე ამირხანაშვილი, თეიმურაზ ფაჩულია, თეიმურაზ ბერიძე, გელა ბანძელაძის ქალიშვილი, პროფესორი **მარი ბანძელაძე** და საქართველოს პარლამენტის წევრები: სამართლის დოქტორი ეკა ბესელია და გიორგი ხატიძე.

ტრენინგი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქალაქ ბათუმის წარმომადგენლობაში

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „პროფესიული ეთიკის განვითარების“ ფარგლებში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქალაქ ბათუმის წარმომადგენლობაში, 2018 წლის 2-3 მარტს ჩატარდა სპეციალური სასწავლო კურსი - „პროფესიული ეთიკა საჯარო სამსახურებში“. აქვე გაიმართა **პროფესორ მალხაზ ბაძაღუას** წიგნის „პროფესიული ეთიკის საფუძვლები“ წარდგენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქ ბათუმის, ქედის, ხულოს და ხელვაჩაურის რაიონების მუნიციპალიტეტის სა-

კრებულოებისა და მერიის საჯარო მოსამსახურეებმა, უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობის პროფესორ-მასწავლებლებმა. სასწავლო კურსს ხელმძღვანელობდნენ პროექტის ხელმძღვანელი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა** და პროფესორი **თეიმურაზ ფაჩულია**.

განვლილ პერიოდში ცენტრის საქმიანობის დადებითი შედეგია ის ფაქტი, რომ მისმა წევრებმა: **ჯემალ გაზელიამ, დავით გუგავამ, მიხეილ ზაძაღუამ, ნანა ლომაიამ, გელა ხუციშვილმა, მიხეილ გაზუნიამ, სოფიო ასანიძემ, მიხეილ გუგზერიძემ** და სხვებმა ღირსეულად მოიპოვეს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

აქტიური სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, ცენტრის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტის მადლობა გამოეცხადა საზოგადოების რიგ წარმომადგენლებს. „ღირსების“ ორდენით დაჯილდოვდნენ: ცენტრის დამფუძნებელი **მანანა ხვედელიძე** და ცენტრის წევრები - **ციალა ხარატიშვილი** და დაბადებიდან 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით ცენტრის თანადამფუძნებელი **ოთარ კვაჭაძე,** ხოლო გენერალი **გივი კვანტალიანი** გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის სახელით, ცენტრის თანადამფუძნებლების ოთარ კვაჭაძის და ჯემალ გაბელიას მიერ 2002-2006 წლებში გამოცემული ლიტერატურა:







საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნება

2017 წლის 27 დეკემბერს, დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის თანადამფუძნებლისა და ხელმძღვანელის, პროფესორ **მალხაზ ბაძაღუას** მიერ დაფუძნდა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც, შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მემკვიდრედ. ამჟამად აღნიშნულ აკადემიაში ფუნქციონირებას აგრძელებს დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ინსტიტუტი.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობა

2018 წლის 18 მაისს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა უნივერსიტეტსა და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება და პროფესორ **მალხაზ ბაძაღუას** სახელმძღვანელოს „პროფესიული ეთიკის საფუძვლები“ წარდგენა, რომელიც გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით, გრიგოლ

რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრთან“ თანამშრომლობით. მემორანდუმს ხელი მოაწერეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, პროფესორმა **ზურაბ ხონელიძემ** და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელმა-პრეზიდენტმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ**.

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ დაარსებიდან 20 წლის იუბილისადმი

2021 წლის 21 დეკემბერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიამ, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტმა, საქართელოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ჩაატარა მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„დანაშაულობის კვლევის აქტუალური საკითხები“.**

კონფერენცია მიეძღვნა ა(ა)იპ „დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის“ დაარსებიდან 20 წლის იუბილეს.

კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს მიესალმა - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე**;

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ:

- საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა;**

-გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მამუკა თავხელიძე**;

-ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი, ნებრასკას უნივერსიტეტის პროფესორი, **კრის ესკრიჯი** (აშშ);

-ევროპარლამენტის პრეზიდიუმის წევრი; ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი **კაროლ კარსკი** (პოლონეთი);

-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ხონელიძე**;

-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**;

- ჟურნალ „კრიმინოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, პროფესორი **მარინე კვაჭაძე**;

- საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი **მაყვალა გონაშვილი,** რომელმაც ნაყოფიერი სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, პროფესორ **მალხაზ ბაძაღუას** ილია ჭავჭავაძის სახელობის მედელი გადასცა.

კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს:

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ** და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მთავარმა სპეციალისტმა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **მიხეილ ბაძაღუამ**, - „კრიმინოლოგიური კვლევების მნიშვნელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა **მინდია უგრეხელიძემ** - „ლეგიმეტრიული კვლევის გამოყენება დანაშაულობის პრევენციაში“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერეტუსმა-პროფესორმა **რომან შენგელიამ**, - „პრობლემის სიმწვავის სრულად შეცნობის აუცილებლობა“;

ამერიკის კრიმინოლოგიური საზოგადოების წევრმა, ამავე საზოგადოების ყოფილმა პრეზიდენტმა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, მეირლენდის უნივერსიტეტის პროფესორმა **ჯონ ლაუზიმ** (აშშ), - „იუსტიციის ნაციონალური ინსტიტუტის წინსვლა“;

ევროპარლამენტის პრეზიდიუმის წევრმა, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა **კაროლ კარსკიმ** (პოლონეთი) - „სისხლის სამართლის სფეროში გამოძიების პროცესში ახალი ცვლილებები: ევროკავშირის გამოცდილება“;

რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, პროფესორმა **ვიტალი კვაშისმა** (რუსეთი) - „საით მიემართება რუსული კრიმინოლოგია?“

გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ, საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრმა, ვარშავის კარდინალ სტეფან ვიშინსკის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **ელზბიეტა კარსკამ** (პოლონეთი) - „ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სააგენტოს შექმნის წინადადება როგორც ევროკავშირის მიერ გადადგმული ნაბიჯები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **დავით სუჯაშვილმა** - „ტერორიზმის კვლევა მასთან წარმატებული ბრძოლის წინაპირობაა“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **გივი აბაშიძემ**, -

„დამნაშავის პიროვნების კვლევა, როგორც მთავარი ფაქტორი დანაშაულობის ერთიან სისტემაში“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, **თეიმურაზ ფაჩულიამ**, - „ფსევდოეთიკა და კრიმინოგენეზი“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **მიხეილ მამნიაშვილმა** - „არასაპატიმრო სასჯელის სახეები და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პრობლემები“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **გიმზერ ალანიამ** და საჯარო მმართველობის დოქტორმა **თამარ მამნიაშვილმა** - „დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენის პრობლემატიკა გამოძიების სტადიაზე“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **ჯემალ ჯანაშიამ** და დოქტორმა **ზაზა ზეროზაშვილმა** -

„ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სუბიექტები და მიწოდების შემცირების სტრატეგია“.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **თეიმურაზ ზერიძემ** - „ეკონომიკური ზრდა: თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **მაია ნადარეიშვილმა** - „კიბერდანაშაულის პრევენციის კრიმინოლოგიური მხარე“.

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა **დავით გუგავა** - „სამეცნიერო კვლევების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პოლიტიკის განვითარებაში“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა **ვეფხვია გვარამიამ** - „ომის და გენოციდის დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ევოლუცია, თანამედროვე გამოწვევები და საქართველოში ჩადენილი ქმედებების დასჯადობის საფუძვლები“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა **დავით გონდაურმა** და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის წამყვანმა სპეციალისტმა, ბიოლოგიის დოქტორმა **ეკატერინე მიქაუტაძემ** - „არასრულწლოვანთა დანაშაულობის პრევენციაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება“;

საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის იურისტმა, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორმა **თამარ ჩიკვილაძემ** - „საჯარო დაწესებულებაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები“;

საქართველოს დავით აღმაშენებელის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტმა **თამარ ლანჩავამ** - „კიბერდანაშაულობის დეტერმინანტები პანდემიის პირობებში“;

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ**, რომელმაც აკადემიის წევრის დიპლომები გადასცა პროფესორებს: **თეიდო ჯაფარიძესა** და **გიორგი ხატიძეს**, ასევე, აკადემიის მადლობის სიგელები გადაეცა დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის დაარსებიდან 20 იუბილესთან დაკავშირებით ცენტრის თანადამფუძნებლებსა და აქტიურ წევრებს.

დამნაშავეობის კვლევის სამომავლო პერსპექტივები

პროფესორ ანზორ გაზიანის ხელმძღვანელობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოქმედ „დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა კვლევითი ცენტრის“ გაუქმების შემდეგ, მეცნიერებისა და პრაქტიკოს კრიმინოლოგების, განსაკუთრებით საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი რჩება დანაშაულობის ბუნებიდან გამომდინარე, მისი კვლევის სახელმწიფო დონეზე შესაბამის ინსტიტუციებში განხორციელების აუცილებლობის წარმოჩენა. აღნიშნულთან დაკავშირებით, გასული 20 წლის მანძილზე, ხელისუფლების წინაშე უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მიერ არაერთხელ დასმულა საკითხი.

აღსანიშნავია, რომ 2021 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიამ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მონაწილეობით წარადგინა პროფესორ **მალხაზ ბაძაღუას** პროექტი “საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ფუნქციონირების აუცილებლობის შესახებ”. პროექტმა კონკურსში გაიმარჯვა და საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემიას მიეცა საშუალება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების კონცეფციის შემუშავებისა და წარდგენის, რისთვისაც საქართველოს კრიმინოლოგიის მეცნიერებათა აკადემია და დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრის მეცნიერ-პრაქტიკოსთა გუნდი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიმართ მადლიერებას გამოხატავს.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დაკაბადონება პაატა ქორქიასი

წიგნი დაიბეჭდა
შპს გამომცემლობა „საჩინოში“
თბილისი, ცოტნე დადიანის №100